პროექტი

საქართველოს კანონი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ.4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1.მე-10 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^1“ ქვეპუნქტი:
„ე^1) სტუდენტთა თანასწორობის, არადისკრიმინაციულობის, გამჭვირვალობისა და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების დაცვით ქმნის სტუდენტთა ჩართულობის, აქტივობისა და ხელშეწყობის შესაბამის მექანიზმებს;“

ბ) პირველი პუნქტის „ე^1“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^2“ ქვეპუნქტი:
„ე^2) ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ^1“ და „გ^2“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების მიზნით ვალდებულია შექმნას სტუდენტური აქტივობების ხელშემწყობი წინადადებების განხილვის, დამტკიცებისა და დაფინანსების გამჭვირვალე მექანიზმი (კომისია/საბჭო), შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაფუძნებით“.

2. მე-17 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ. წარმომადგენლობით საბჭოში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის სტუდენტი. წარმომადგენლობით საბჭოს არჩევნებში აუცილებელია ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სტუდენტთა არანაკლებ 10 %-ის მონაწილეობა“.

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:
„4^1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი სტუდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება შუალედური არჩევნები შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად იმავე ვადით“.

გ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) პროფესორის მიერ შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;
ბ) შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ან 6 თვეზე მეტი ვადით სტუდენტის სტატუსის შეჩერება“.

3. მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1.საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც აირჩევიან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების აკადემიური პერსონალის ყველა წევრის, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წევრ სტუდენტთა მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით".

4. 27-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის აკადემიური თანამდებობის მქონე ყველა პირი, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის ყველა პირი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სტუდენტების მიერ არჩეული წარმომადგენლები, ან აკადემიური პერსონალის, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირებისა და სტუდენტების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით არჩეული წარმომადგენლები".

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიდეს შემდეგი რედაქციით:
,,3. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, მაგრამ საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეოთხედისა. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით დადგენილი წესით, შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს აკადემიური უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის სტუდენტი. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს არჩევნებში აუცილებელია ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სტუდენტთა არანაკლებ 10 %-ის მონაწილეობა".

გ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:
,,4. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წევრი სტუდენტისათვის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ან 6 თვეზე მეტი ვადით სტუდენტის სტატუსის შეჩერება. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება შუალედური არჩევნები შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად იმავე ვადით".

5 . 43-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის: ,,$გ^1$" ქვეპუნქტი:
,,$გ^1$) შეიმუშავოს წინადადებები სტუდენტურ აქტივობასთან დაკავშირებით და დაფინანსების მიღების მიზნით განსახილველად წარუდგინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კომისიას/საბჭოს წესდებით დადგენილი წესით".

ბ) პირველი პუნქტის „გ[1]“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის: „გ[2]“ ქვეპუნქტი:
„გ[2]) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტური აქტივობებისთვის განსაზღვრული ფინანსების მიღების თანაბარი შესაძლებლობა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით“.

გ) პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობით საბჭოში, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში ან სტუდენტების წარმომადგენლობით გაერთიანებაში“.

დ) პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე[1]“ ქვეპუნქტი:
„ე[1]) უმაღლესი განათლების შესაბამისი აკადემიური საფეხურის სტუდენტს, სტუდენტის სტატუსის განმავლობაში ერთხელ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, არჩეულ იქნეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობით საბჭოში, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში ან სტუდენტების წარმომადგენლობით გაერთიანებაში. სტუდენტს უფლება არ აქვს ერთდროულად არჩეულ იქნეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობით საბჭოში, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში ან სტუდენტების წარმომადგენლობით გაერთიანებაში“.

6. 45-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 45. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების წარმომადგენლობითი გაერთიანებები

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს უფლება აქვს ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე აირჩიოს ან არჩეულ იქნეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების წარმომადგენლობით გაერთიანებაში (სტუდენტური თვითმმართველობა, სტუდენტური კლუბი, სტუდენტური ასამბლეა, სტუდენტური საბჭო).

2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იქმნება მხოლოდ ერთი სტუდენტების წარმომადგენლობითი გაერთიანება, რომლის არჩევნებში აუცილებელია ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სტუდენტთა არანაკლებ 10 %-ის მონაწილეობა“.

3. სტუდენტების წარმომადგენლობით გაერთიანებაში სტუდენტის არჩევის წესი, სტრუქტურა და უფლებამოსილებანი განისაზღვრება სტუდენტების წარმომადგენლობითი გაერთიანების დებულებით.

4. სტუდენტების წარმომადგენლობითი გაერთიანება თავისი დებულების შესაბამისად:
ა) ხელს უწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების უფლებების დაცვას;

ბ) უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს შესაბამის ორგანოს;
გ) ახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც ხელს უწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების უფლებების დაცვას.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტების წარმომადგენლობითი გაერთიანების საქმიანობაში“.

მუხლი 2. ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებში და სტუდენტების წარმომადგენლობით გაერთიანებებში არჩეულ სტუდენტებს, უფლებამოსილება უწყდებათ არჩევის ვადის გასვლისთანავე.

მუხლი 3. ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა - უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში, უზრუნველყონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებაში შესატანი ცვლილების პროექტის შემუშავება და შესაბამისი სამინისტროსათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

მუხლი 4. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**